

ზატიკის ორი ხელნაწერისა და თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული ბეჭდური ტექსტის შედარებითი ანალიზი

ლიტურგიკული მწერლობა, ქართული ლიტურატიურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ქართულ სალიტურგიკო მწერლობაში, დროთა განმავლობაში შეინიშნება სხვადასხვა სახის ცვლილებები, შესაბამისად, შესაძლებელია გამოვყოთ სამი პერიოდი. პირველ პერიოდში, ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა სირია-პალესტინის საღვთისმსახურო ტრადიციების გავლენას განიცდიდა, მეორე პერიოდში, უპირატესობა ათონის სკოლას ენიჭება, ხოლო მესამეში, ქართული ლიტურგიკული პრაქტიკისთვის “ანტონიმ მონღომა მიეცა ... ბიზანტიურის ნაცვლად რუსული ფიზიონომია” (კეკელიძე, 1957:175). სამეცნიერო ლიტურატიურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაში, ძირითადად, გამოიყენება ლიტურგიკული კრებულები, რომლებიც ანტონ კათოლიკოსმა “საქართველოში თუ რუსეთში ყოფნის დროს, გადაათვალიერა ... შეადარა რუსულს და იმათ ყალიბზე ჩამოასხა ... მეთვრამეტე საუკუნეში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საეკლესიო წიგნი, რომელიც სლავური წიგნების მიხედვით არ შესწორებულიყო; ჩვენს ეკლესიაში ახლა ხმარებაშია სწორედ ეს, მეთვრამეტე საუკუნის რედაქცია” (კეკელიძე, 1957:175).

ჩვენ შევეცდებით შევისწავლოთ ზატიკის კრებული ორი ხელნაწერის მიხედვით, რომელთაც შევუდარებთ ანტონ კათოლიკოსის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდგომდროინდელ, კერძოდ, 1999 წლის ზატიკს, ეს კი გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ რა ღოზით შესწორდა ზატიკის ლიტურგიკული კრებულები, ზემოთ ხსენებული რეფორმის შემდეგ.

ზატიკი, ახლანდელი მნიშვნელობით, არის დამოუკიდებელი ლიტურგიკული კრებული, რომელშიც თავმოყრილია აღდგომის და შემდგომი პერიოდის საკითხავები, მარტვილიის კვირიაკის ჩათვლით. როგორც ლ. ხევსურიანი აღნიშნავს, ტერმინი “გიორგი მთაწმიდელის დროს წარმოიშვა, მანამდე ამ ტერმინით აღინიშნებოდა ეორტალოგიური პერიოდი აღვსებიდან მარტვილიამდე” (ხევსურიანი, 2008:223). აქვე ყურადღებას იპყრობს თვით ტერმინი “ზატიკი”, რომელსაც სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ, ერთი მოსაზრებით, ის მომდინარეობდა სომხურიდან; იმის გამო, რომ კრებული აღდგომის საკითხავებით იწყება, ფიქრობდნენ, შესაძლებელი იყო მას სომხურის მიხედვით წოდებოდა “ზატიკ”, რაც ნიშნავს აღდგომას. კ. კეკელიძე ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ აღნიშნავს, რომ ტერმინი “ზატიკი” შემოღებულია მე-11 საუკუნეში, ამ დროს კი ქართულ ეკლესიას არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდა სომხურთან, გარდა ამისა, ძველად კრებული იწყებოდა ბზობის საკითხავებით. კ. კეკელიძის მსჯელობის მიხედვით, “ზატიკი” წარმოდგება “აზატ”-ისგან, რაც ლიტურგიკულ ენაზე ნიშნავს “თავისუფალ” დღეს, ესე იგი დღესასწაულს, როგორც განთავისუფლებას და დაცალებას შრომისა და მუშაობისაგან. ძველქართულმწერლობაში “დღესასწაული” იწოდებოდა “ზატიკად” (მაგ: I კორინთ. V,8 “რამთავზატიკობდეთ”) (კეკელიძე, 1980:595).

გიორგიმთაწმიდელსუთარგმნია “დიდნიმარხუანი და ზატიკნი”, რომლებიცკანონიკურკრებულებადიყოალიარებული. მანამდე, როგორცუძველესილიტურგიკულიძეგლებიდან ჩანს,აღდგომისსაგალობლებშიესულიიყოიერუსალიმისლექციონარში, უძველესიადგარში, ჭილ-ეტრატისიადგარში და სხვანუსხებში, თუმცა“ზატიკთასაგალობლებიმათშისაკამოდუნწადარისწარმოდგენილი–ძირითადად, ამ პერიოდისდიდიღღესასწაულებისსაგალობლებით” (ხევსურიანი, 2008:224).

ჩვენ ამჟამინდელი კვლევის ფარგლებში, ერთმანეთს ვადარებთ “ზატიკის” ორ ხელნაწერს (A402 (XV-XVI სს.) და H1237 (XVIII-XIX სს.)), იმ გამოცემას, რომელიც თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში არის დამკვიდრებული. ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით, A402 შეიცავს გიორგი მთაწმიდელისეული ზატიკის რედაქციის ტექსტს. ვინაიდან, მასალა საკმაოდ

ვრცელი მოცულობისაა, შესადარებლად ავირჩიეთ სამი პერიოდი, კერძოდ, აღდგომის მსახურების, სამარტელის კვირიაკის და თომას კვირიაკის ორშაბათი დღის საკითხავები. რასაკვირველია, ამ ტიპის კვლევა სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ვერ მოგვცემს, მაგრამ საწყისი ეტაპისთვის გამოკვეთს კვლევის ზოგად სურათს.

თავდაპირველად, ზატიკის კრებულებს შევადარებთ აღდგომის საკითხავების მიხედვით. ხელნაწერზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღდგომის საგალობებში შესამჩნევი ცვლილებები არ შესულა, შეინიშნება მცირე სხვაობები, რაც არ ცვლის მათ შინაარსს.

გვხვდება ძალიან მცირე ფონეტიკური სხვაობები, გადანაცვლებულია სიტყვები, დაქარაგმებული სიტყვები არასწორადაა გახსნილი, ზოგი სიტყვა კი საერთოდ გამოტოვებულია და ა.შ.. მაგალითები:

ფონეტიკური ხასიათის სხვაობები:

	A402	H1237	„ზატიკი“ (1999 წ.)
გალობა და ძლისპირი	საღმრთოსა საწილავსა ზედა საღმრთომე ტყუელი ამბაკომ დგინ ...და გვიჩუენენ .. ბრწყინუაღელ მეტყუელი ..	საღმრთოსასაწმილავსაზედასაღმრთომეტყუელიამბაკომდგინ... და გვიჩუენენ...ბრწყინვაღელმეტყუელი ...	საღმრთოსასაწმილავსაზედასაღმრთომეტყუელიამბაკომდგინ...

	A402	H1237	„ზატიკი“ (1999 წ.)
გალობა და ძლისპირი	... ცხოვრება სოფლისადა არს ცხოვრებაარსსოფლისა ცხოვრებაარსსოფლის ...

	A402	H1237	„ზატიკი“ (1999 წ.)
გალობა და III ტროპარი	ვითარცატარიგიუბიწო...	ვითარცატარიგიუბიწო...	ვითარტარიგიუბიწო...

ლექსიკური ხასიათის სხვაობები:

	A402	„ზატიკი“ (1999 წ.)
გალობა და ძლისპირი ბრწყინვაღელმეტყუელიესრეთცხოვრებასოფლისადაარსდღეს,რამეთუაღსდგაქრისტე ბრწყინვაღელმეტყუელიესრეთცხოვრებაარსსოფლისადადღეს,რამეთუაღსდგაქრისტე ...

	H1237	„ზატიკი“ (1999 წ.)
გალობა ე, ძლისპირი	აღვიმსთოთ ჩუენ. ცისკარსა მას მსთვად ...	აღვიმსთოთ ჩუენ ცისკარსა მსთუად ...
	შთაჯედ შენ ქვესკნელთა ქვეშე. ქვეშე ქვეყანისათა ...	შთაჯედ შენ ქვესკნელთა ქვეშე ქვეყანისათა ...

	A402	“ზატიკი” (1999 წ.)
გალობა ა, III ტროპარი	...თანააღვსდგებითდღესადღგომასაგუშინ შენ თანათანა-აღვსდგებითდღესადღგომასაშენსაგუშინ შენ-თანა ...
გალობა ზ, ძლისპირი	...უხრწნელებისაშეჰმოსასამოსელიმხოლომან კურთხეულმან, ღმერთმანამათაჩუენთამან	...უხრწნელებისაშეჰმოსასამოსელიმხოლომან კურთხეულმან, ღმერთმანამათამან და ზესთაამაღლებულმან

	H1237	“ზატიკი” (1999 წ.)
გალობა გ, II ტროპარი	აწ ყოვლითურთ აღივსო ნათლითა ცა და ქუეყანა და ყოველივე ქმნილი დღესასწაულობს. ალდგომასა ქრისტესსა, რომლითა განვსძლიერდით	აწ ყოვლითურთ აღივსო ნათლითა ცა და ქუეყანა და ქუესკნელი და ყოველივე ქმნილი დღესასწაულობს. ალდგომასა ქრისტესსა, რომლითა განვსძლიერდით

გარდა ამისა, A402 ნუსხასა და ნაბეჭდ ტექსტებს შორის შეინიშნება ისეთი სხვაობებიც, როგორცაა მაგალითად, ხელნაწერში არ გვხვდება მითითება იმის შესახებ, რომ ყოველი გალობის შემდეგ არის კვერეჟი, III და IV გალობებს შორის საკითხავი ტროპარი “იბაკო”, კონდაკი და იკოსი ხელნაწერში წინა (10v) გვერდზე წერია.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ხელნაწერში კანონი, გალობების ძველი სახელებით გვაქვს წარმოდგენილი: უგალობდითსა, განძლიერდითსა, მესმასა, ღამითგანსა, ღაღადყავსა, კურთხეულ არსა, აკურთხევდითსა, ადიდებდითსა.

აღდგომის საგალობლების დასრულების შემდეგ ხელნაწერ ნუსხაში ვკითხულობთ ასეთ წინადადებას: “სხუანი ძუელნი რომელიცა გინდეს”, აქ მოცემულია მთლიანი კანონი, საინტერესოა, რომ საგალობლები ფორმის თვალსაზრისით, საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე აღდგომის საკითხავებია, ვფიქრობთ, ეს გამოწვეული უნდა იყოს ეპოქათა სიმშორით, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მათ შორის შინაარსობრივი სხვაობა თითქმის არ არის. მაგ:

	A402	“ზატიკი” (1999 წ.)
გალობა ა, ძლისპირი	დღესა მას აღდგომისასავინხარებდეთერნო. პასექსაუფლისასა. რომლითაქრისტემან. სიკუდილისაგანმიხსნა და ქუეყანით ცაღ. აღმიყუანაძღვეისამგალობელნიდღეს	აღდგომისა დღე არს განვბრწყინდებოდეთ აწ ერნო, პასხა უფლისა პასხა, რომლითა ქრისტემან ღმერთმან სიკუდილისაგან მიხსნა, და ქუეყანით ცაღ აღმიყუანა სუფევად, ძღვეისა მგალობელნი დღეს

როგორც ვხედავთ, ორივე კრებულის აღნიშნულ ტროპარში საუბარია ერის, ხალხის უდიდეს სიხარულზე, რაც იესო ქრისტეს აღდგომით, სიკვდილისაგან კაცობრიობის გამოხსნით არის გამოწვეული.

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები: “სხუანი ძუელნი რომელიცა გინდეს”? ამ ფრაზით გადამწერი გვეუბნება, რომ არსებობს საგალობლების სხვა, უფრო ძველი ფენაც და ამ ტროპარებსაც გადაწერს.

ხელნაწერ H1237-სა და ბეჭდურ ვერსიას შორის სხვაობა შემდეგია: ხელნაწერში, მეექვსე გალობის შემდეგ წერია სვინაქსარი, რაც 1999 წლის ზატიკში, ბოლო გვერდებზეა გადატანილი. გარდა ამისა, ხელნაწერ ნუსხაში შეინიშნება სიტყვების: მეტყუელი, გვიჩუენენ, ბრწყინუალე,

განმიხეიუნ და ა.შ. ამგვარი წაკითხვა: მეტყველი, გვიჩვენენ, ბრწყინვალე, განმიხვენ და ა.შ. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის არის, რომ თითოეული კრებული ასახავს იმ ენობრივ მახასიათებლებს, რაც მათი შედგენის დროს იყო დადგენილი გრამატიკული ნორმა.

რაც შეეხება სამართელის კვირიაკის მსახურებას, შესადარებლად ავიღეთ გალობები და გამოვყავით ის მცირე ცვლილებები, რაც სამივე ზატიკის კრებულს განასხვავებდა ერთმანეთისგან.

A402 უგალობდითსა (ძლისპირი: გიგალობთ...)	H1237 გალობა ა, (ძლისპირი: გიგალობთ ...)	“ზატიკი” (1999 წ.) გალობა ა, (ძლისპირი: გიგალობთ...)
რომელმანჯვარცმანფესით დაითმინე. ჯორცითაქრისტელმერთოჩუენო და აღსდეგსაფლავით. და ჯოჯონეთისაძლიერებააწარმოსტყუწენდიდებააშენდა:	რომელმანჯვარცმანფესითდაითმინე . ჯორცითაქრისტელმერთოჩუენო და აღსდეგსაფლავით. და ჯოჯონეთისაძლიერებააწარმოსტყუენდიდებააშენდა:	რომელმან ჯუარცმა ნებსით დაითმინე. ჯორცითა ქრისტელმერთო ჩუენო და აღსდეგსაფლავით. და ჯოჯონეთისა ძლიერება წარმოჰსტყუწენდიდებაა შენდა:
მშვდობისა ცუარსა ცროდეთ ღრუბელნო. და ყოველი სოფელი იხარებდით რამეთუ დღეს. აღდგა და თანა აღადგინა ბუნებაა კაცთაა:	მშვდობისა ცუარსა ცროდეთღრუბელნო. და ყოველისოფელიიხარებდითდღესრამეთუ. აღდგაქრისტესაფლავით და თანააღადგინაბუნებააკაცთა:	მშვდობისა ცუარსა სცროდეთღრუბელნო. და ყოველისოფელიიხარებდითდღეს, რამეთუ. აღსდგაქრისტესაფლავით და თანააღადგინაბუნებააკაცთა:
A402 მოიხილესა, (ძლისპირი: ისმენდით ...)		
გიხილარადმზემან. ჯუარსაზედაავსებადქრისტემყისდაიფარაბრწყინვალეებაათვისი. ქუეყანადმწოდა და ჯოჯონეთიმკუდართაშთანთქმულთაგანუტევებდა და მოიკლამტერი. და წარმოიტყუენა. სიკუდილისაძალი. დიდებადსიმტკიცესაშენსა:		
ლოღირომელიცა. დაიფარაიოსებსალმრთოდსაფლავი. ანგელოზმანმოსწრაფედგარდააგორვა. ქრისტესაღდგომასა და ესრეთეტყოდა. მოვედითიხილეთ. ადგილირომელსა. ნებსითდაიდგაუფალი:		
A402 მესმასა, (ძლისპირი: ცანი შუე ..)	H1237 გალობა დ, (ძლისპირი: ცანიშუწნიერებამან..)	“ზატიკი“ (1999წ.) გალობა დ, (ძლისპირი: ცანიშუწნიერებამან..)
რაჟამსსამართელმანგთხოვა აწყალიქრისტე. ასუ მას გულისწმისყოფააღმრთეებისა აშენისააჭეშმარიტი. ამისთვს პრწმენა და	რაჟამს სამართელმან გთხოვა წყალი ქრისტე. ასუ მას გულისწმის ყოფააღმრთეებისა შენისააჭეშმარიტი. ამისთვს პრწმენა და თაყვანის გცა.	რაჟამს სამართელმან გთხოვა წყალი ქრისტე. ასუ მას გულისწმის-ყოფააღმრთეებისა შენისააჭეშმარიტად. ამისთვს პრწმენა და თაყვანისგცა.

თაყუანისცა. დიდებაა ძალსა (შენსა უფალო):	დიდებაა ძალსა (შენსა უფალო):	დიდება ძალსა (შენსა უფალო):
სამებოერთარსებოერთდმრ თეებაო. მამაოძეო და სულოწმიდაო. შეგვწყალნენჩუენ. რომელნიმართლადსარებითვ იტყვთდიდებაა (ძალსაშენსაუფალო):	სამებოერთარსებოერთდმრთეებო. მამაოძეო და სულოწმიდაო. შეგვწყალნენჩუენ. რომელნიმართლადდიდებაობითვი ტყვთდიდებააძალსაშენსაუფალო:	სამებოერთ-არსებოერთ- დმრთეებაო. მამაოძეო და სულოწმიდაო. შეგვწყალნენჩუენ. რომელნიმართლადდიდებაობითვი ტყვთდიდებააძალსაშენსაუფალო:
A402 აკურთხევდითსა (ძლისპირი: მეუფესა..)	H1237 გალობა ე (ძლისპირი: მეუფესა ..)	“ზატიკი” (1999 წ.) გალობა ე (ძლისპირი: მეუფესა ..)
მეუფესა. ქრისტესაღმერთსაჩუენსა. რომელიიშვაქალწულისაგან. დამბადებელიქალწულადვედ აიცვა. ყოველნიდაბადებულნი (დამბადებელსააკურთხევდი თუკუნისამდე):	მეუფესა. ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა. რომელი იშვა ქალწულისაგან. და მშობელი ქალწულადვე დაიცვა. ყოველნი დაბადებულნი (დამბადებელსა აკურთხევდით უკუნისამდე):	ნაკურცხლითა განწმედლმან, ისაია წინათ ჰქადაგა გონიერად ნაკურცხალი შენგან განხორციელებული ქალწულო უადრეს გონებისა შემწუელი ყოვლისა ნივთისა კაცთა ცოდვისა და განმამდრთობელი მოწყალებით ბუნებისა ჩუენისა უბიწო:

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ მეხუთე შვიდეულის (კვირიაკის) კვირა ღღის ცისკრის გალობები. კვლევისას გამოჩნდა, რომ უშუალოდ ტროპართა შორის არ გვაქვს ისეთი სხვაობები, რაც შინაარსობრივ ცვლილებებს გამოიწვევდა (გარდა აკურთხევდითსას ბოლო ტროპრისა, ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ გადამწერს ხელთ ისეთი ვერსია ჰქონდა სადაც არ იკითხებოდა ტროპარი და თვითნებურად ჩანაცვლა სხვა ღვთისმშობლისანით), თუმცა, 1999 წლის ზატიკში გვაქვს ორი სხვადასხვა კანონი, ანდრია კრიტიკისა და იოსებ მართალის ავტორობით, ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, უგალობდითსა შეიცავს, როგორც ერთი, ისე მეორე ავტორის საგალობლებს. ამჯერად, ჩვენ გვინტერესებს იოსების ხელიდან გამოსული საგალობლები, რომლებიც განკუთვნილია სამარტელის კვირიაკისთვის, რადგან სწორედ ამ ტროპარებს შეიცავს A402 ნუსხა. მათ შორის შეინიშნება მცირე სხვაობები, მაგალითად, ხელნაწერის მიხედვით, გალობები მოიხსენიება ძველი სახელწოდებებით (უგალობდითსა, განძლიერდითსა, მესმასა და ა.შ.), გარდა ამისა, კანონი წარმოდგენილია სრული სახით, რაც გულისხმობს, რომ შეიცავს “მოიხილეთას”. A402 ნუსხაში თითოეული გალობის დასახელებასთან ვკითხულობთ ძლისპირთა დასაწყის სიტყვებს, H1237 ნუსხასა და 1999 წლის ზატიკში კი ძლისპირები სრული სახით გვაქვს, შესაძლოა ეს ფაქტი მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ძველად ძლისპირები ზეპირად იცოდნენ და მათი სრულად დაწერა არ იყო საჭირო, დროთა განმავლობაში კი ეს ტრადიცია იკარგება. A402 ხელნაწერში არ გვაქვს მესამე გალობის შემდეგ საკითხავი კონდაკი, იკოსი და წარდგომა, ასევე – მეექვსე გალობის შემდეგ საკითხავი კონდაკი და იკოსი.

რა შეიძლება ითქვას ხელნაწერ H1237-ის შესახებ? თუ მას შევადარებთ 1999 წლის ზატიკს, აღმოჩნდება, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით, მისგან არ განსხვავდება, რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, აქ შეინიშნება მცირე სხვაობები, შედარებით მეტია ცვლილება ფორმის მხრივ, მაგრამ ესეც გრამატიკულ დონეზეა და დროთა განმავლობაში ქართულ სალიტერატურო ენაში მიმდინარე ცვლილებებს უნდა დაუკავშიროთ.

კრებულები საინტერესოა სტრუქტურული თვალსაზრისითაც. მაგალითად, XV-XVI საუკუნეების ნუსხაში, არ გვაქვს ლიტანიასა ზედა დასდებულნი, ანტიფონები, აქედითსა ზედა დასდებულნი, ამ სხვაობების გამომწვევ მიზეზებზე საუბრისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ,

რადგან ჩვენი კვლევა ჯერჯერობით ამ მიმართულებით არ განხორციელებულა. კრებულები, სტრუქტურული თვალსაზრისით ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

A402	H1237	“ზატიკი” (1999 წ.)
უფალო- ღალადყავსაზედადასდებელნი	უფალო- ღალადყავსაზედადასდებელნი	უფალო- ღალადყავსაზედადასდებელნი
	ლიტანიასაზედადასდებელნი	ლიტანიასაზედადასდებელნი
სტიქარონსაზედადასდებელნი	სტიქარონსაზედადასდებელნი	სტიქარონსაზედადასდებელნი
წარდგომა “ღმერთიუფაღსაზედა”	წარდგომა “ღმერთიუფაღსაზედა”	წარდგომა “ღმერთიუფაღსაზედა”
იბაკო	იბაკო	იბაკო
	ანტიფონები	ნტიფონები
გალობები	გალობები	ალობები
ამოავლინე	განმანათლებელი	განმანათლებელი
	აქებდითსაზედადასდებელნი	აქებდითსაზედადასდებელნი

მსგავსი ვითარება გვაქვს კვირა დღის მსახურების დანარჩენ საკითხავებშიც, მხოლოდ მნიშვნელოვანია, რომ თომას კვირიაკის გარდა, ყოველი კვირა დღის მსახურების გალობები, კერძოდ, პირველი კანონები (იგულისხმება, რომ ხელნაწერში ორი ან მეტი კანონია დადებული ერთი მსახურების საკითხავებში) შეიცავს “მოიხილეთას”.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერთა კვირა დღის საკითხავებიც სტრუქტურული თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდება 1999 წლის ზატიკისგან. რაც შეეხება ორშაბათი-შაბათი დღეების მსახურებებს, აქ ერთი შეხედვით საკმაოდ დიდი სხვაობები შეინიშნება. კერძოდ, ის, რაც გვაქვს A402 ნუსხაში, არ გვხვდება 1999 წლის ზატიკში, მაგრამ წიგნის ბოლო ნაწილში კვითხულობთ ამგვარი შინაარსის ტექსტს: “სამ-საგალობელი ქმნილი იოსებისა: უწყება შევინს რამეთუ სამ-საგალობელი ესე პირველთა დაბეჭდულთა ზადიკთა შინა, დაუბეჭდავთ ლიტურდიათა ზედა გალობად, ხოლო ბერძენნი სერობასა ზედა წარიკითხუწნ ღვთის-მშობლისა კანონთა თანა ... ამის-თვს ჩუწნ შედგომილთა ბერძენთა ნათარგმნთათა ... არა დაუქსდევით რიგზედ სამ-საგალობელი ესე, რათა არა დაირღუწს ბერძენთა მიერ თარგმნილი, და განწესებული ...” (ტრიოდინი ზატიკი, 1999:101).

როგორც ვხედავთ, აქ აღნიშნულია ის, რომ თავდაპირველად დაბეჭდილი ზატიკის კრებულები ბერძნულისგან განსხვავებული იყო სწორედ ამ სამ-საგალობლებით, აქვე მითითებულია, თუ მსახურების რომელ მონაკვეთში უნდა წაიკითხოს სამ-საგალობელი და რატომ შეინარჩუნა აღნიშნული ტროპარები წიგნის შემდგენელმა, ნათლად არის ნათქვამი, რომ ისინი ბოლოშია გადატანილი, რათა არ დაირღვეს ჩვენში დამკვიდრებული ბერძნული წესი.

მოყვანილი ანდერძის შემდეგ იწყება ის საკითხავები, რაც გვაქვს A402 ნუსხაში. აქვე დავამატებთ, რომ H1237-ში ზემოთ მოტანილი ანდერძი სრული სახით გვხვდება, მხოლოდ, ის ჩართულია უშუალოდ ტექსტში.

ქვემოთწარმოვიდგენთ თომას კვირიაკის ორშაბათის სამ-საგალობლის მერვეგალობის ტროპარს, სამივე კრებულის მიხედვით:

A402 აკურთხედითსა (ძლისპირი: სახმილსა რაი)	H1237 გალობა ე (ძლისპირი: სახმილსა რაი)	“ზატიკი” (1999 წ.) (ძლისპირი: სახმილსარა)
დაჰხსენ წყევად ჯვართა მხსნელო და საფლავად შთასლვითა. დაარღვებნელისუფევაჯოჯოხეთისა. ხოლო არასდემკუდრეთით. ყოველნი ვეადამიანნი შენთანა ალაღინენ. ამისთვსა აკურთხევთ შენ უკუნისამდე.	დაჰხსენ წყევა ჯვართა მხსნელო და საფლავად შთასლვითა. დაარღვევიბნელი იგი სუფევაჯოჯოხეთისა. ხოლო არასდემკუდრეთით. ყოველნი ვეადამიანნი შენთანა ალაღინენ. ამისთვსა აკურთხევთ შენ	დაჰხსენ წყევად ჯვართა მხსნელო და საფლავად შთასლვითა. დაარღვებნელი სუფევაჯოჯოხეთისა. ხოლო არასდემკუდრეთით. ყოველივე ადამიანნი შენთანა ალაღინენ. ამის-თვსა აკურთხევთ უკუნისამდე.

(უკუნისამდე):

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია აღდგომის საგალობლებში შეინიშნება ცვლილებები, მაგრამ ეს არ ცვლის ტექსტის შინაარსს, სხვაობები მხოლოდ ფორმობრივი ხასიათისაა, რასაც შესაძლოა დროთა განმავლობაში, ქართლი ენის გრამატიკული ნორმების ცვლილებები იწვევდეს. შედარებით თვალსაჩინოა განსხვავებები სამარიტელის კვირიაკის საკითხავებში, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ზოგიერთი ტროპარი ერთ კრებულშია, მეორეში კი – არა და ა.შ. მაგრამ ძირითადად, H1237 ნუსხა და 1999 წლის კრებულები მიჰყვება A402 ხელნაწერს. ორმაბათი დღის სამ-საგალობლებში შინაარსობრივი ცვლილებები არ ჩანს, თუმცა მოცულობის თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ H1237 ნუსხასა და თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ზატიკში შეტანილია დამატებით სხვა საკითხავებიც.

ამ ყოველივეს მიუხედავად, ჩემი აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ დღევანდელ ლიტურგიკულ მსახურებაში დამკვიდრებულ ზატიკს დედნად არ ჰქონია ქართული ხელნაწერები და რომ ანტონ კათოლიკოსმა ყველა კრებული სლავურის მიხედვით ჩაასწორა.

ღიას, ანტონ კათოლიკოსმა მართლაც შეადარა ქართული ლიტურგიკული კრებულები სლავურს, კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებული თთუენის წინასიტყვაობაში, რომელიც მისივე თქმით, ეკუთვნის ანტონს, დასახელებულია ის მიზეზები, თურათომ გადაწყვიტა მან, მოეკიდა ხელი საღვთისმსახურო წიგნებისთვის. ის გვეუბნება, რომ ლიტურგიკული კრებულები უძველესი დროიდან იყო ჩვენში თარგმნილი წმიდა მამათა მიერ, მაგრამ დროთა განმავლობაში შეირყვნა და გასწორება და გამართვა ესაჭიროებოდათ, მან კი საქართველოს ეკლესიის სიყვარულის გამო, იტვირთა თავს ეს მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე. საყურადღებოა ისიც, რასაც შემდგომ წერს ანტონ კათოლიკოსი: “სათანადო არს უწყებად, ვითარმედ წმიდათა მამათა, თარგმანთა ჩუწნთა, კილოსათჳს გალობისა, ძლისპირნიცა და დასდებელნიცა, მათ ზედა სათქმელნი უცუალებიეს შესახედავითა მრავალ-გზის ჰაზრნიცა სიტყვსანი, მაგრამ მე არა შევეხე მათ მიერსა თარგმანებულსა განმართუად, მით რამეთუ მათ ზედა “ნიჭი იგი სულისა განყოფითი თჳთოეულსა ჩუწნსა ზედა” (I კორ. 12,7), ვითა თესლად თესლადობა ენათა, ეგრეთუჳ თარგმანებაცა ენათა”. ... “და რადთა არა შეზმნილ-იყვნეს ყოველსა შინა, მე ამით მიზეზითა, რადცა ვჰპოვე მათი იგი, შეუხებელად ვიპყარ. და რადცა დროთა ცუალებითა და უსზნიდისოთა მწერალთა მიერ ხრწნითა, და აჟა როსისასა შინა არყოფითა აკლდა ... იგი ოდენ გარდამოვიდე” (კეკელიძე, 1957:180).

როგორც ვხედავთ, ანტონს რაც ჰქონდა წმიდა მამათა მიერ თარგმნილი ლიტურგიკული კრებულები, უცვლელად დაუტოვებია, მხოლოდ ის საგალობლები გადმოუღია სლავურიდან, რაც არ იყო ქართულ ხელნაწერებში, ეს არის კიდევ ერთი მიზეზი, რითაც უნდა აიხსნას ის მსგავსება-განსხვავებები, რაც დასტურდება სხვადასხვა კრებულების შედარებისას. რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება ეს საკითხი, საჭიროა ძირეული კვლევა-ძიების ჩატარება, გარკვევა და გამოაშკარავება იმისა, თუ რომელ ნაწილზე იმუშავა ანტონ კათოლიკოსმა, რა ცვლილება შეიტანა კრებულებში და საერთოდ, იმუშავა თუ არა ყველა ლიტურგიკულ კრებულზე და მათ შორის, ზატიკზე.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. კეკელიძე 1980. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1980.
2. კეკელიძე 1957. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1957
3. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დაცული ხელნაწერის ნუსხა A402
4. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დაცული ხელნაწერის ნუსხა H1237
5. ტრიოდინი ზატიკი. თბილისი 1999.
6. ხევსურიანი 2008. ხევსურიანი ლ. “ზატიკის ორი ძველი რედაქცია” – ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი. ტ. I. თბილისი. 2008

Nino Jakhveladze

Comparative analysis Pentecostar's two manuscripts and printing text which is settled in modern liturgical practice

Summary

Liturgical literature is one of the most important parts of Georgian literature, that's why we think that it is important to study it deeply, to realize what way did the Georgian culture pass through since old centuries till today.

We aim to compare Passover Georgian editorials (George Mtatsmideli, Anton I), that's why we chose two manuscripts (A402 and H1237) and collection of 1999 year's Passover's, which is settled in contemporary liturgical practice. Just because, as a result of comparison, we wanted to present a general image of the changes in Passover's liturgical collection over a long period of time and wanted to find out how did Anton Catholics reform influenced this collection.

Since Passover is an extensive collection, it is impossible to study it completely under the work of master thesis, that's why we emphasized the following periods (day of East, Week of Tome, Week of Samaritan...) and as a result of their comparative analysis we made general conclusions.